სამიზნე ცნება – „გეოგრაფიული მოვლენა,გეოგრაფიული პროცესი. “

შედეგები –გეო.საბ 1,2,3,6.
კლასი (7)

საკითხი – გეოგრაფიული აღმოჩენები–მაგელანის მოგზაურობა

<u>კომპლექსური დავალების პირობა:</u>

წარმოიდგინეთ რომ გეგმავთ მოგზაურობას დედამიწის გარშემო, ჰიპერლინკი1 .
ამისთვის გჭირდებათ გაანალიზოთ მაგელანის მოგზაურობის მარშუტი, ჰიპერლინკი2 . რათა თავიდან აიცილოთ შესაძლო წინააღმდეგობები და წარმატებული და უსაფრთხო მოგზაურობა გამოგივიდეთ. თქვენი ნაშრომი წარმოადგინეთ სვოტ(swot)ანალიზის სახით.

<u>თქვენს მიერ წრმოდგენილ სვოტ ანალიზში ხაზგასმით წარმოაჩინე:</u>

- მაგელანის მოგზაურობის ძლიერი და სუსტი მხარეები. ჰიპერლინკი 3 .
- მაგელანის მოგზაურობის მნიშვნელობა გეოგრაფიული ცოდნის გაღრმავების პროცესში. ჰიპერლინკი 4
- მაგელანის ექსპედიციის შესაძლებლობები და საფრთხეები და ჩამოაყალიბე საკუთარი მოსაზრება ამ საფრთხეების შემცირების ან თავიდან აცილებისთვის.

<u>პრაქტიკული რჩევები სვოტ ანალიზზე მუშაობისთვის:</u>

- სვოტ ანალიზში წარმოაჩინე მაგელანის მოგზაურობის ძლიერი და სუსტი მხარეები.
- განიხილე ის შესაძლებლობები და საფრთხეები რომლებიც შეხვდებოდა მაგელანის ექსპედიციას.

შეფასება/თვითშეფასება

- ✔ სვოტ ანალიზში ჩანს მაგელანის მოგზაურობის ძლიერი და სუსტი მხარეები.
- ✔ საკითხის შესწავლის შემდეგ განიხილე მაგელანის ექსპედიციის შესაძლებლობები და საფრთხეები და ჩამოაყალიბე საკუთარი მოსაზრება ამ საფრთხეების შემცირების ან თავიდან აცილებისთვის.

1.

Magellan's Voyage- An Animated Map Journey of Magellan's Journey Around the World..mp4



2.

3 . 13 უცნობი ფაქტი ფერნანდო მაგელანის შესახებ

ფერნანდო მაგელანი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიროვნებაა მსოფლიოს ისტორიაში, რომელმაც ზღვაოსნობით გაითქვა სახელი. იგი იყო ინიციატორი ექსპედიციის, რომელიც მსოფლიო მოგზაურობაში გადაიზარდა.
მიუხედავად იმისა, რომ მის დასრულებას ვეღარ მოესწრო, მაგელანის მოგზაურობის უშუალო შედეგი დედამიწის სფერულობის დამტკიცებასთან ერთად,ესპანეთის კოლონიების ზრდა, ახალი მიწების აღმოჩენა, ახალი ტოპოგრაფიული სახელების დამკვიდრება და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისტორიაში პირველად, პინგვინების აღნუსხვაა .
სტატიაში, უფრო ვრცლად, გაეცნობით 13 უცნობ ფაქტს კაპიტნის შესახებ, რომლის მოგზაურობამაც მსოფლიო შეცვალა.

#1 პირველი საზღვაო ნათლობა
მაგელანის , როგორც კაპიტნის საზღვაო ნათლობა შედგა 1505 წელს, ფრანშისკუ ალმეიდას პორტუგალურ ფლოტში, რომელიც მიზნად ისახავდა ინდოეთის დაპყრობას. ამ დროს ფერნანდო 25 წლის იყო.

#2 ფერნანდო მაგელანი კოჭლი გახლდათ.
1513 წელს მაგელანს, მაროკოში,ქალაქ აზემურთან, სამხედრო მოქმედებისას, ცხენი მოუკლეს, შემდეგ ფეხში დაიჭრა და სამუდამოდ დაკოჭლდა.

#3 პორტუგალიიდან – ესპანეთამდე.
მიუხედავად იმისა,რომ მაგელანი პორტუგალიელი იყო, 1513 მან ზურგი აქცია პორტუგალიის სამეფო კარს და ესპანეთში გადავიდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ინდოეთიდან სანელებლებით უკან დაბრუნებულ მაგელანს , პორტუგალიის მეფე მანუელ I-მა გასამრჯელო არ გადაუხადა.

#4 მაგელანის მულტინაციონალური ეკიპაჟი

მიუხედავად იმისა, რომ მაგელანის ვოიაჟი ესპანეთის მეფეებმა დააფინანსეს , ექსპედიციის წევრები სხვადასხვა ქვეყნებიდან გახლდათ. ეკიპაჟის ძირითად ნაწილს ესპანელები და პორტუგალიელები შეადგენდნენ ბერძნებთან, სიცილიელებთან, ინგლისელებთან, ფრანგებთან, გერმანელებთან და ჩრდილოეთ აფრიკელებთან ერთად.



#5 Tierra del Fuego – „ცეცხლოვანი მიწა“.

ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით, მაგელანმა მოგზაურობისას თვალი მოჰკრა ადგილობრივ ინდიელთა მრავალრიცხოვან კოცონებს, სწორედ ამ ადგილს დაერქვა – „ცეცხლოვანი მიწა“.



#6 *Spheniscus magellanicus* – მაგელანური პინგვინი?

მაგელანის საპატივცემულოდ პინგვინის ერთ-ერთ სახეობას მისი სახელი დაარქვეს. სწორედ, ფერნანდომ პირველმა შენიშნა პინგვინი 1520 წელს, როდესაც ექსპედიცია სამხრეთ ამერიკის უკიდურეს სამხრეთ ნაპირებთან იმყოფებოდა.

#7 “MAR PACIFICO” – წყნარი ოკეანე.

მაგელანის ხომალდები, ცეცხლოვანი მიწის გავლის შემდეგ, უზარმაზარ ოკეანეში შეცურდნენ, რომელიც მშვიდად გამოიყურებოდა და მეზღვაურებისთვის არავითარ საშიშროებას არ ქმნიდა. ამიტომაც ექსპედიციის კაპიტანმა ოკეანეს პორტუგალიურად “Mar Pacifico” ანუ “წყნარი ოკეანე” უწოდა. მიუხედავად ამისა, იგი არ იყო პირველი ევროპელი, ვინც ოკეანე იხილა და სახელი შეარქვა. 1513 წელს, ესპანელმა კონკისტადორმა, ვასკო ნუნიეს დე ბალბოამ, ევროპაში პირველმა აღმოაჩინა წყნარი ოკეანე და მას “სამხრეთის ზღვა” უწოდა.



#8 იძულებითი მოგზაურობა?

მაგელანს არ დაუგეგმავს მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო, მისი მიზანი იყო აღმოეჩინა საზღვაო გზა მოლუკის კუნძულამდე. ერთხელ ექსპედიციას პორტუგალიელები დაესხნენ თავს, მაგელანი იძულებული იყო დასავლეთისაკენ გზა გაეგრძელებინა.

2

#9 პრობლემები პირად ცხოვრებაში.

მაგელანს შთამომავლობა არ ჰყოლია.მოგზაურობამდე მან იქორწინა მშვენიერ პორტუგალიელზე, ბეატრიჩე დუარტეზე. შვილი ერთი წლისა გარდაეცვალა. ერთი წლის შემდეგ, ახალი ბავშვის დაბადებას, ბეატრიჩე გადაჰყვა. ფერნანდოც მოგზაურობაში დაიღუპა.



#10 ფერნანდო მაგელანი – აღსასრული.
1521 წლის 27 აპრილს, ექსპედიციის წევრები , კუნძულ მაქტანზე სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჩაერთვნენ ადგილობრივ აბორიგენებთან. ატეხილ დაპირისპირებაში პირადად იბრძოდა ექსპედიციის კაპიტანიც, იგი პირადად მაქტანის ბელადმა, ლაპუ-ლაპუმ გამოასალმა სიცოცხლეს.
მიუხედავად მაგელანის სიკვდილისა ექსპედიცია გაგრძელდა, გემების კაპიტნები ერთმანეთს სწრაფად ცვლიდნენ, საბოლოოდ ბასკი მეზღვაურის, ხუან სებასტიან ელ-კანოს მეთაურობით მოხერხდა ესპანეთში დაბრუნება ერთადერთი გადარჩენილი გემით „ვიქტორია“. მაგელანის მოგზაურობა დასრულდა.

2

#11 სიბრტყე თუ სფერო ?
მაგელანის ექსპედიციას უკვალოდ არ ჩაუვლია, სწორედ ამ ეპოქაში მივიდნენ დასკვნამდე, რომ დედამიწა სფერულია და არა ბრტყელი.



Fantasy map of a flat earth — Image by © Antar Dayal/Illustration Works/Corbis

#12 18/265
მაგელანის ხუთი გემიდან (ტრინიდადი, ვიქტორია , სან ანტონიო, კონეპსიონი, სანტიაგო) მხოლოდ „ვიქტორია“ გადაურჩა განადგურებას. ხომალდის ეკიპაჟის გადარჩენილმა წევრებმა მოგზაურობა დაასრულეს და 1522 წლის 6 სექტემბერს სანკულარ-დე-ბარამედას პორტში შევიდა. ექსპედიციის 265 ადამიანიდან 18 გადარჩა.

#13 . ესპანური აუტპუტი.
ელ-კანოს მიერ ჩატანილმა სანელებლებმა ესპანეთში, გადაფარა მთელი ექსპედიციისთვის გამოყოფილი თანხები. მაგელანის მიერ აღმოჩენილი ტერიტორიები იქცა ესპანეთის გავლენის სფეროებად და კოლონიებად, სადაც გავრცელდა ქრისტიანობა და ესპანური ენა.საფუძველი ჩაეყარა ესპანეთის დომინირებას მსოფლიოზე. იგი გახდა სუპერსახელმწიფო ,უზარმაზარი ტერიტორიებით, სიმდიდრითა და ფლოტით.

გიგა ჩალიგავა

4 . ფერნანდო მაგელანი, *ფერნან მაგალიაინში* (პორტ. Fernão de Magalhães, ესპ. Fernando ან Hernando de Magallanes; დ. გაზაფხული 1480, ტრაზ-უქ-მონტიში, პორტუგალიის სამეფო — გ. 27 აპრილი, 1521, კ. მაქტანი, ფილიპინები) — პორტუგალიელი მეზღვაური-მკვლევარი, რომლის მეთაურობით მოხერხდა პირველი წარმატებული მოგზაურობა დედამიწის ირგვლივ. მაგელანმა თავად მოგზაურობის დასრულება ვერ მოახერხა; სასიკვდილოდ დაიჭრა მაქტანის ბრძოლაში ფილიპინებზე. თუმცა ის გარდაიცვალა მოლუკის კუნძულების დასავლეთით და შესაბამისად ითვლება, რომ პირველი ადამიანი იყო, რომელმაც დედამიწის ყველა განედი გადაჭრა. ევროპიდან აზიაში დასავლეთის მიმართულებით მიმავალმა ექსპედიციამ მისი მეთაურობით პირველმა გადაჭრა წყნარი ოკეანე, რომელიც ნაოსნობის პერიოდში იმდენად მშვიდი იყო, რომ მას წყნარი შეარქვა.

1519 წლის 20 სექტემბერს, ხუთი ხომალდი: „ტრინიდადი“, „სან-ანტონიოსი“, „სანტიაგო“, „კონსეფსიონი“ და „ვიქტორია“ სან-პახულიანოს უბეში შევიდნენ. სამი ხომალდის - „ვიქტორიას“,

„კონსეფსიონის“ და „სან-ანტონიოსის“ კაპიტნებს უცნობ მიწაზე დაზამთრების შეეშინდათ და აჯანყდნენ. მაგელანმა „ვიქტორიასა“ და „კონსეფსიონის“ კაპიტნები სიკვდილით დასაჯა, ხოლო „სანტიაგოს“ კაპიტანი და მღვდელი უდაბურ ნაპირზე გადასვა. გემი „სანტიაგო“ კლდეზე დაიმსხვრა, ერთი ხომალდი კი უკან გამოეპარა.

1520 წელს მეზღვაურებმა აღმოაჩინეს წყნარ ოკეანში გასასვლელი ვიწრო და დაკლაკნილი სრუტე, რომელსაც შემდგომში მაგელანის სრუტე ეწოდა.ექსპედიციამ შემოუარა სამხრეთ ამერიკას და გავიდა „უცნობ დიდ ზღვაში“, რომელსაც წყნარი ოკეანე უწოდეს.1521 წელს ექსპედიციამ მარიანას და ფილიპინის კუნძულებს მიაღწია. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ნაპირებთან მდებარე კუნძულ მაკ-ტანთან ფერნანდო მაგელანი შინა ომში ჩაება და დაიღუპა. ექსპედიციის 250 წევრიდან მხოლოდ 18-მა მოახერხა ესპანეთში დაბრუნება და შესაბამისად დედამიწის ირგვლივ შემოვლა. მათ მეთაურობდა ბასკი ხუან სებასტიან ელ-კანო, რომელმაც ექსპედიციის წინამძღოლობა მაგელანის სიკვდილის შემდეგ ითავა. ამ მოგზაურობით დადგინდა დედამიწის სფერულობა, ერთიანი მსოფლიო ოკეანის არსებობა და ისიც, რომ დედამიწაზე ოკეანეებს უფრო მეტი ფართობი უკავიათ, ვიდრე ხმელეთს.